საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ინფორმატიკის ეროვნულ დონეზე კონკურსის ჩატარებისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მიზნით, საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტების მომსახურების შესყიდვა

(CPV: 79952000)

(წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგანტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2013-2014 აკადემიური წლის მდგომარეობით VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის ინფორმატიკაში ორეტაპიანი (ერთი დაუსწრებელი და ერთი დასწრებული ეტაპი) კონკურსის ჩატარების და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის (IOI) საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტების (4 ძირითადი წევრი და 4 რეზერვისტი) მომსახურების შესყიდვა დანართი 1 შესაბამისად. (ატვირთულია ცალკე ფაილად).

მომსახურების გაწევის ადგილი - საქართველო.

მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 16000.0 ლარი

დაფინანსების წყარო: „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის" „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამა"

მომსახურება განხორციელდება 2 ეტაპად:

1 ეტაპი: ეროვნულ დონეზე ინფორმატიკის კონკურსის ორგანიზება;

2 ეტაპი: ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება;

მოთხოვნები ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით

- მიმწოდებელ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს სასკოლო ოლიმპიადების/კონკურსების (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე) ორგანიზების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება.
- მიმწოდებელ ორგანიზაციას და/ან მის თანამშრომლებს, რომლებიც ჩაერთვებიან აღნიშნული აქტივობების განხორციელების პროცესში, უნდა ჰქონდეთ ინფორმატიკაში ოლიმპიადების (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე) ორგანიზების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.
- ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელებაში ჩართული თანამშრომლების და დაქირავებული ექსპერტების რეზიუმეები (CV) და გამოცდილების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები; წარმოდგენილი რეზიუმეები უნდა ადასტურებდეს ინფორმატიკის ოლიმპიადებში (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე) მათი მონაწილეობის გამოცდილებას.

მომსახურების ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით.

პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაციები:

ა) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება,

იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი;

ბ) ორგანიზაციის გამოცდილება და/ან თანამშრომლების და დაქირავებული ექსპერტების რეზიუმეები (CV) და გამოცდილების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები; წარმოდგენილი რეზიუმეები უნდა ადასტურებდეს ინფორმატიკის ოლიმპიადებში (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე) მათი მონაწილეობის გამოცდილებას (არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება).

გ) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს განსახორციელებელი აქტივობების ამსახველი ბიუჯეტი მოცემული ფორმის მიხედვით.

N	აქტივობა	ჯამური თანხა
1. ეროვნულ დონეზე ინფორმატიკის კონკურსის ორგანიზება		
1.1	ამოცანების ბანკის და ავტომატიზებული მატესტირებელი პროგრამის შედგენა და საკონკურსო ამოცანების შერჩევა	
1.2	I ტურის ორგანიზება	
1.3	II ტურის ორგანიზება	
2. ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება		
2.1	ამოცანების ბანკის და ავტომატიზებული მატესტირებელი პროგრამის შედგენა და საკონკურსო ამოცანების შერჩევა	
2.2	I ტურის ორგანიზება	
2.3	II ტურის ორგანიზება	

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის ა-ბ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე:

ა) ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების დასრულების შემდგომ, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

ბ) სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია", „დასრულებულია უარყოფითი შედეგით" ან „ტენდერი შეწყვეტილია" სტატუსის (ერთერთი) მინიჭებამდე.

ტენდერით მოთხოვნილი არ იქნება გამარჯვებული პრეტენდენტის მხრიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია" სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.

შენიშვნა: ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიისა და საფასურის წარდგენა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე.

სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

ტენდერში გამოყენებული არ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისგან: ე. ეზუგბაია; მ. ფალიაშვილი; ნ. ბოჭორიშვილი; ნ. მჟავია. ტელ: 2 31 89 40 შიდა ნომერი: (1272); (1273); (1274).

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

ტენდერში მონაწილეთა მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

ინსტრუქცია შესაძლებელია ასევე იხილოთ: http://procurement.gov.ge

პროექტი

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ----------

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ. თბილისი "_____"----------" 2014 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA---------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ---------- უზრუნველყოფა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია დანართ #1-ში

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურება განხორციელდება საქართველოში..

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

8 . ხელშეკრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შემსყიდველის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების და-დგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღი-რებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის ---------- ჩათვლით.

14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224
სახელმწიფო ხაზინა (ა/ა 200122900)

---------- ----------

მინისტრის პირველი მოადგილე ბ.ა.

ქეთევან ნატრიაშვილი